ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3001905

ნომერი: AR1462062

თარიღი : 07.12.2016

გაცემის თარიღი : 16.12.2016

გაცნობის თარიღი : 19.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარი რამიშვილი პ/ნ 01005010172
- თბილისი ვ.სარაჯიშვილის ქ. N 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის საძირკვლის არმქონე მსუბუქი კონსტრუქციის ღობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ნოდარ ბოხუას ქუჩა N1, შპს „ დიბელი ჯგუპი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ,შპს „მოგო“-ს მიერ I კლასის საძირკვლის არმქონე მსუბუქი კონსტრუქციის ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „ დიბელი ჯგუპი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.01.014.061, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016293264 18/05/2016წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ნოდარ ბოხუას ქუჩა N1, შპს „ დიბელი ჯგუპი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ,შპს „მოგო“-ს მიერ I კლასის საძირკვლის არმქონე მსუბუქი კონსტრუქციის ღობის მოწყობის შესაძლებლობას დროებით 2 წლის ვადით.

გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო ღობე უნდა განთავსდეს მოქ. სპარტაკ ალიმბარაშვილისა და შპს „ დიბელი ჯგუპი“-ს საკუთრებაში არსებულ N 01.13.01.014.061 საკადასტრო საზღვრებში და დაცულ იქნას სს „თელასი“-ს მიერ დადგენილი ნორმები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.